ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე
გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: კ. ე
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.11.2015
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 077/15
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ნ-ს მიმართ /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ნ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2015 წლის 09 ნოემბერს "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა კ. ე-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ნ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2014 წელს, ზუგდიდის შს სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც კ. ე-ს ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 179-2.ბ.,179-3.ა და 179-3.ბ. მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულ საქმეზე მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი მ. ნ.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა, მიუხედავად მისი თხოვნისა, არ გამოკითხა საქმის მოწმეები, რომლებიც დაადასტურებდნენ კ. ე-ს ალიბს და კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საჩივრის ავტორის ცემისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის დამადასტურებელი მტკიცებულებები. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული მტკიცებულებები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა მისმა ადვოკატმა მ. კ-მა, თუმცა,

ვინაიდან მტკიცებულებები სასამართლოში წარდგენილ იქნა კანონის დარღვევით, სასამართლომ ეს მტკიცებულებები დასაშვებად არ ცნო და პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მ. ნ თანამშრომლობდა ზუგდიდის პოლიციასთან, კ. ე-ს ინტერესების საწინააღმდეგოდ, ვინაიდან ადვოკატმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც ადასტურებდა იმ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობას, რომელსაც, რეალურად, არ ესწრებოდა, ხოლო დოკუმენტი ეხებოდა აღიარებითი ჩვენების მიცემას, რომელიც, კ. ე-ს განცხადებით, მან მისცა მასზე განხორციელებული ცემისა და ძალადობის გამო.

1.5 2015 წლის 26 ნოემბერს წარმოდგენილ წერილობით განცხადებაში საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მ. ნ-ს ახსნა-განმარტება შეიცავს ცრუ ინფორმაციას. კ. ე-ს განმარტებით, მ. ნ-ს დაუკავშირდნენ 2014 წლის 08 ოქტომბერს, ღამის 12 საათიდან 1 საათამდე შუალედში, ხოლო სამმართველოში მისვლისათვის დასჭირდა გარკვეული დრო, რადგან ყოყმანობდა წამოსვლაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს ესაუბრა კ. ე-ს და ნ. ე, ასევე, ახლობელი თ. ხ.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის ესაუბრა პირისპირ ადვოკატს და აუხსნა, რომ ზეწოლის ქვეშ იყო, სცემდნენ და ემუქრებოდნენ „წამლის და იარაღის ჩადებით“, ასევე, ბიძაშვილის შვილის დაპატიმრებით. კ. ე-ს განმარტებით, მას განუცხადა ადვოკატმა, რომ შეხვედრამდე ესაუბრნენ პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები და სთხოვეს დაეყოლიებინა კ. ე ყაჩაღობის აღიარებაზე, თუმცა, ადვოკატმა განაცხადა, რომ მათი არ ეშინოდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან აუხსნა მ. ნ-ს, რომ რეალურად დანაშაული არ ჩაუდენია და სთხოვა სამართლებრივი დახმარება, თუმცა, ადვოკატმა განუცხადა მას, რომ ჩვენების მიცემისას ვერ დაეხმარებოდა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან აუხსნა ადვოკატს, რომ იყო ნაცემი და გადაიყვანეს ნარკოლოგიურ კლინიკაშიც, ასევე, სამმართველოში მის მონათხრობს არ იჯერებდნენ, ხოლო რეალური ჩვენების მიცემისას ემუქრებოდნენ და სცემდნენ. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი უცხადებდა მას, რომ საქმის იმ ეტაპზე მიცემულ ჩვენებას არ ექნებოდა სამართლებრივი ძალა სასამართლოსათვის და ურჩია კ. ე-ს, რომ ეღიარებინა ყაჩაღობის ჩადენა, რადგან მის სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა გარკვეული ნივთები, თუმცა, ზუსტად არ იცოდა რა იქნა ამოღებული. საჩივრის ავტორის განცხადებით, ასევე, დანაშაულის აღიარება ააცილებდა შემდგომ ცემასა და მუქარას, ხოლო სასამართლოზე დამტკიცდებოდა კ. ე-ს უდანაშაულობა. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სწორედ ამის შემდეგ მოაწერა ხელი სამმართველოს თანამშრომლების მიერ შედგენილ აღიარებით ჩვენებას.

1.8. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან განუცხადა ადვოკატს, რომ კ. ე-ს შარვალი გახადეს და გაიტანეს, თუმცა, მ. ნ-ს ამაზე არ გაუმახვილებია ყურადღება. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი წაუკითხავად აწერდა ხელს ყველა დოკუმენტს, მ. ნ-ს მითითებით. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი საქმის დაზარალებულის სახლში არ მისულა იმ დროს, როდესაც კ. ე იმყოფებოდა დაზარალებულის სახლში ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად, რადგან მან ეს საჭიროდ არ ჩათვალა. კ. ე-ს განცხადებით, ადვოკატი ესაუბრებოდა ნ. ე-სა და თ. ხ-ს.

1.9. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან განუმარტა მ. ნ-ს, რომ სამმართველოს თანამშრომლებს სურდათ მის შარვალზე სისხლის ლაქების ხელოვნურად გადატანა. თუმცა, ადვოკატი არ დაინტერესდა და მხოლოდ მეორე დილით ნახა შარვალი მოწითალო ლაქებით. ასევე, კ. ე-ს განმარტებით, გაუგებარია, თუ რატომ დასჭირდებოდა მას ოქტომბრის თვეში, ტაძარში წასვლისას, ნაქსოვი ხელთათმანი, ასევე,

იგი არ ივლიდა სისხლიანი ტანსაცმლით ქუჩაში, ხოლო ეს ყველაფერი აღიარებით ჩვენებაში იყო დაფიქსირებული, თუმცა, რეაგირების გარეშე.

1.10. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა განუცხადა, რომ შეუძლებელი იყო დაემტკიცებინათ კ. ე-ს ცემის ფაქტი, მიუხედავად განმარტებისა, რომ ნარკოლოგიურ კლინიკაში პირველი გადაყვანისას მას თვალზე სილურჯე არ ჰქონდა და ამის სურათები არსებობდა. შესაბამისად, შეიძლებოდა ცემის ფაქტის მტკიცება. მიუხედავად ამისა, კ. ე-ს განცხადებით, ადვოკატს ამ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენია.

1.11. საჩივრის ავტორის განცხადებით, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით იგი შეხვდა ადვოკატ კ. ტ-ს და აუხსნა მისი სიტუაცია, რაზეც კ. ტ-მ ურჩია, რომ ყოველი შემთხვევისათვის მოემზადებინათ შეთანხმება, სადაც მოთხოვნილი იქნებოდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისმა კიდევ ერთმა ადვოკატმა, მ. კ-მა განახორციელა შესაბამისი მოქმედებები კ. ე-ს პოზიციის დასაცავად.

1.12. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმე ხელოვნურად იყო შექმნილი. მისი ქმედებების შემდეგ მ. ნ იძულებული გახდა ეღიარებინა სასამართლო პროცესზე, რომ არ განახორციელა გარკვეული ქმედებები კ. ე-ს ინტერესების დასაცავად, რაზეც საყვედური მიიღო ადვოკატ მ. კ-გან. კ. ე-ს განმარტებით, მ. ნ-ს შეეძლო დასწრებოდა ნ. ე-სა და საჩივრის ავტორის ბიძაშვილის მიერ ჩვენების მიცემას, რადგან ჩვენება ეხებოდა კ. ე-ს და, ამავდროულად, აღნიშნულ პირებს მოტყუებით დააწერინეს ბრალდების მხარის სასარგებლო ჩვენება.

1.13. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან შეგნებულად არ აიცილა ადვოკატი მ. ნ იმისათვის, რომ სასამართლო პროცესზე გამოკვეთილიყო კ. ე-ს დაუცველად ყოფნა მ. ნ-ს მიერ განხორციელებული წარმომადგენლობისას. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს შეეძლო განეცხადებინა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, რომ კ. ე ცრუობდა, როდესაც უთითებდა ცემის, მუქარის ფაქტის არსებობის შესახებ და, ასევე, იმ ინფორმაციის განცხადების შესახებ, რომლის მიხედვითაც კ. ე-მ აღიარებითი ჩვენება მისცა მ. ნ-ს რჩევით.

1.14. 2017 წლის 03 აგვისტოს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ ორივე მხარის მოთხოვნით საქმე განიხილა მათი დასწრების გარეშე, საქმეში არსებული ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე.

2. მოწმის პოზიცია:

2.1. მოწმე მ. კ-მა ეთიკის კომისიაში ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2015 წლის 23 დეკემბერს. მოწმის განცხადებით, იგი არის კ. ე-ს ნათესავი და საქმეში ჩაერთო 2014 წლის დეკემბრის ბოლოს, ზუგდიდის რიონულ სასამართლოში საქმის არსებით განხილვისას. მოწმის განმარტებით, კ. ე-ს წარმომადგენლობას უკვე ახორციელებდა ორი ადვოკატი, მათ შორის მ. ნ, რომელმაც გადასცა მას საქმის მასალები. მოწმე აღნიშნავს, რომ დაცვის მხარის საქმის მასალები იყო არასრული, თუმცა, მნიშვნელოვანი მასალები არ აკლდა.

2.2. მოწმის განმარტებით, კ. ე აცხადებდა, რომ იყო უდანაშაულო და მ. ნ-მ შეიყვანა შეცდომაში, რაც გამოიხატა დანაშაულის აღიარებით, იმ პირობით, რომ შემდეგ, სასამართლო სხდომაზე უარყოფდა დანაშაულის ჩადენას. მოწმის განცხადებით, მან შეახვედრა ერთმანეთს მ. ნ და კ. ე, აღნიშნული მითითების დასადასტურებლად. მოწმის განმარტებით, აღნიშნულ შეხვედრაზე კ. ე-მ განუცხადა მ. ნ-ს, რომ სწორედ მისი რჩევით მისცა აღიარებითი ჩვენება, თუმცა, მ. ნ უარყოფდა და აღნიშნავდა,

რომ მან კ. ე-ს ურჩია ემოქმედა მისი სურვილისამებრ. მოწმის განცხადებით, მ. ნ მას ეუბნებოდა, რომ კ. ე არ იიძულებია განეხორციელებინა რაიმე სახის ქმედება, თუმცა, მ. კ-ის განმარტებით, მას ეჭვი ეპარებოდა მ. ნ-ს განცხადებაში.

2.3. მოწმის განცხადებით, საქმის არსებით განხილვისას კ. ე-მ უარყო მისი აღიარება და თავი უდანაშაულოდ ცნო. მოწმის განმარტებით, კ. ე-ს ცემის ფაქტთან დაკავშირებით მან მიმართა ზუგდიდის დროებით იზოლატორსა და ქუთაისის მეორე იზოლატორს განცხადებით, რათა მიეღო ცნობა საჩივრის ავტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მ. კ-ის განცხადებით, აღნიშნული ცნობებით დადასტურდა, რომ კ. ე-ს აღენიშნებოდა ჯანმრთელობის დაზიანება მარცხენა თვალზე.

2.4. მოწმის განმარტებით, მან მიმართა ნარკოლოგიურ კლინიკას განცხადებით კ. ე-ს გარეგნული დათვალიერების აქტის გამოთხოვის შესახებ, რის შედეგადაც გაირკვა, რომ მას დაკავებამდე დაზიანება არ აღენიშნებოდა. მ. კ-ის განმარტებით, მას განუცხადა კ. ე-მ, რომ მ. ნ-ს წარმომადგენლობის დასაწყისშივე ჰქონდა ინფორმაცია საჩივრის ავტორის ცემის ფაქტის შესახებ და სასამართლო სხდომაზეც განაცხადა, რომ აღიარებითი ჩვენების მიცემა მას აიძულეს. მოწმე აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას მ. ნ წარმომადგენლობას აღარ ახორციელებდა, რადგან, როგორც მ. კ-თვის ცნობილია, საჩივრის ავტორს არ სურდა მ. ნ-ს მიერ წარმომადგენლობის გაგრძელება.

3. მოწმის პოზიცია:

3.1. მოწმე თ. ხ-მ ეთიკის კომისიაში ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2015 წლის 23 დეკემბერს. მოწმის განცხადებით, კ. ე-ს დაკავება მოხდა 2014 წელს. მოწმის განმარტებით, მას დაუკავშირდა საჩივრის ავტორის და, რომელმაც განუცხადა, რომ კ. ე დაკავებული იყო, თუმცა, მიზეზის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. თ. ხ-ს განცხადებით, იგი დაუკავშირდა მის კურსელს, რომელმაც დააკავშირა ადვოკატ მ. ნ-თან.

3.2. მოწმე თ. ხ-ს განმარტებით, ადვოკატი მ. ნ თავდაპირველად არ იყო თანახმა დაეცვა კ. ე-ს ინტერესები, რადგან მასთან დაკავშირება მოხდა ღამის საათებში, ხოლო ადვოკატი ცხოვრობდა ზუგდიდიდან მოშორებით. მოწმე თ. ხ-ს განცხადებით, მას დაუკავშირდნენ ზუგდიდის პოლიციის სამმართველოდან და მოსთხოვეს ადვოკატის მონაცემები, სადაც ხასიამ გადასცა მ. ნ-ს საიდენტიფიკაციო მონაცემები და მობილური ტელეფონის ნომერი. მოწმე აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ მ. ნ საქმეში ჩაერთო.

3.3. მოწმე თ. ხ-ს განცხადებით, იგი დილის 9:30 საათზე მივიდა ზუგდიდის სამმართველოში, სადაც განუცხადეს, რომ ადვოკატი ჯერ არ იყო მისული. რის შემდეგაც თ. ხ დაუკავშირდა ადვოკატს და შეხვედრა შედგა მ. ნ-ს საადვოკატო ბიუროს ოფისში, ხოლო შეხვედრას ესწრებოდნენ მოწმის მშობლები და კ. ე-ს და. მოწმის განმარტებით, ადვოკატი აცხადებდა, რომ კ. ე არ იყო ნაცემი, აღიარებდა დანაშაულს და საჭირო იყო შეთანხმება საადვოკატო მომსახურების ჰონორარზე, რათა მ. ნ-ს განეხორციელებინა წარმომადგენლობა. მოწმე აღნიშნავს, რომ მას ადვოკატ მ. ნ-სთან ჰქონდა სამი შეხვედრა.

3.4. მოწმის განმარტებით, საქმეში სხვა ადვოკატის ჩართვა მოითხოვა თვითონ კ. ე-მ, ვინაიდან იყო უკმაყოფილო მ. ნ-ს მომსახურებით და ამის შესახებ განუცხადა მის დას, თუმცა, არ სურდა ადვოკატ მ. ნ-ს განაწყენება და გადაწყვიტა ახალ ადვოკატთან ერთად წარმომადგენლობა განეხორციელებინა მ. ნ-საც. თ. ხ-ს განცხადებით, შემდგომ საქმეში მესამე ადვოკატი, მ. კ ჩაერთო, რომელიც იყო კ. ე-ს

ნათესავი. მოწმის განმარტებით, კ. ე მ. კ-თან საუბარში მუდმივად აფიქსირებდა ზოგად პრეტენზიებს ადვოკატ მ. ნ-ს მიმართ.

3.5. მოწმე თ. ხ-ს განცხადებით, მან კ. ე-ს ცემის ფაქტის შესახებ შეიტყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეში სხვა ადვოკატები ჩაერთვნენ. მოწმის განმარტებით, იგი ესწრებოდა ადვოკატების შეხვედრას, სადაც კ. ე-ს მეორე ადვოკატი და მ. კ საყვედურობდნენ მ. ნ-ს იმის შესახებ, თუ რატომ არ დააფიქსირა კ. ე-ს ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი დროულად და არ მოახდინა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება, თუმცა, მ. ნ შეხვედრაზე აცხადებდა ,,დაზიანება სერიოზული არ იყო''.

4. ადვოკატის პოზიცია:

4.1. ადვოკატმა მ. ნ-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2015 წლის 19 ნოემბერს. ადვოკატის განცხადებით, 2014 წლის 08 ოქტომბერს, დაახლოებით დილის ოთხ საათზე დაუკავშირდნენ საჩივრის ავტორის ახლობლები და განუცხადეს, რომ ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებს დაკავებული ჰყავდათ კ. ე და მას ესაჭიროებოდა სამართლებრივი დახმარება. ადვოკატის განმარტებით, იგი დაუყოვნებლივ გამოცხადდა ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში და შეხვდა კ. ე-ს.

4.2. ადვოკატის განმარტებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ პოლიციის თანამშრომლებს ჩატარებული ჰქონდათ საჩივრის ავტორის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, ოჯახის წევრთა თანხმობით, ხოლო ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა ყაჩაღობის შედეგად მოპოვებული ნივთები. მ. ნ-ს განცხადებით, მან დაუსვა კითხვა კ. ე-ს ზეწოლის, მუქარის, შანტაჟის ან ცემის ფაქტის შესაძლო არსებობის შესახებ, რაზეც საჩივრის ავტორმა განუცხადა, რომ აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია, ხოლო თვალზე არსებული სისხლნაჟღენთი ადრე ჰქონდა მიღებული. ადვოკატი აღნიშნავს, რომ კ. ე-მ იგივე პოზიცია დააფიქსირა მოსამართლის შეკითხვაზეც, ამ თემასთან დაკავშირებით, ხოლო დანაშაული აღიარა ნებაყოფლობით. ადვოკატის განცხადებით, კ. ე-მ ცემის ფაქტის შესახებ მიუთითა მხოლოდ სასამართლო სხდომაზე, საქმის არსებითი განხილვისას და არ განუცხადებია მისი მეორე ადვოკატისათვის, კ. ტ-თვისაც.

4.3. ადვოკატის განცხადებით, არასწორია საჩივრის ავტორის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მან ხელი მოაწერა ისეთი საგამოძიებო მოქმედების ოქმს, რომელსაც იგი არ ესწრებოდა. მ. ნ-ს განმარტებით, იგი ესწრებოდა 2015 წლის 08 ოქტომბერს, დილის საათებში, კ. ე-ს მოწმის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენების შესამოწმებლად ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტს.

4.4. ადვოკატის განმარტებით, იგი არ ესწრებოდა საცხოვრებელი სახლის ჩხრეკას, ვინაიდან ეს ფაქტი მოხდა 2015 წლის 07 ოქტომბერს, როდესაც მ. ნ საქმეში ჯერ არ იყო ჩართული. ადვოკატის განცხადებით, საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმზე ხელი მოწერილი აქვთ კ. ე-ს დასა და ახლობელს, ხოლო ოქმში შენიშვნა გაკეთებული არ არის. ასევე, ადვოკატის განმარტებით, კ. ე განცხადებაში არ აფიქსირებს ფაქტს, რომ ამოღებული ნივთების დაზარალებულის სახლიდან გატანა დადასტურებულია და არ აფიქსირებს, რომ ნივთმტკიცება პოლიციის თანამშრომლებმა ხელოვნურად შექმნეს.

4.5. ადვოკატის განცხადებით, კ. ე-ს საჩივარი რეალურად შედგენილია მისი ადვოკატის მიერ, რომელიც, სავარაუდოდ, ამ მეთოდებით ცდილობს კ. ე-ს გამართლებას. მ. ნ-ს განმარტებით, მისი არაკვალიფიციურობის შემთხვევაში, კ. ე-ს შეეძლო აეცილებინა იგი და, ასევე, საქმეში, კ. ე-ს

ინტერესების დასაცავად ჩართული იყო კიდევ ორი ადვოკატი, შესაბამისად, კ. ე-ს უფლება ჰქონდა მათთვის მიემართა მ. ნ-ს მიერ გარკვეული ქმედებების განუხორციელებლობს შემთხვევაში. მ. ნ-ს განმარტებით, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ იგი მოქმედებდა კლიენტის ინტერსების საწინააღმდეგოდ.

4.6. ადვოკატის განმარტებით, კ. ე-თან პირველი შეხვედრისას საჩივრის ავტორმა განუცხადა, რომ ბრალდების მხარე ჰპირდებოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და აინტერესებდა მ. ნ-ს მოსაზრება, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ „პოლიციის გარანტად ვერ დაუდგებოდა." ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის სურვილი იყო საპროცესო შეთანხმების შედგენა და შეთანხმებაზე განცხადება პროკურატურაში შეტანილ იქნა კ. ე-ს სურვილით.

4.7. 2015 წლის 08 დეკემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ კ. ე-ს წარმომადგენლობა დაიწყო ზეპირი შეთანხმებით. ადვოკატის განმარტებით, თავდაპირველად, საჩივრის ავტორი აცხადებდა, რომ უდანაშაულო იყო და არ სურდა აღიარებითი ჩვენების მიცემა, თუმცა, საპროცესო შეთანხმებაზე მ. ნ-თან კონსულტაციის შემდეგ, დანაშაულის ჩადენა აღიარა. ადვოკატის განცხადებით, კ. ე-მ მოსამართლეს განუცხადა, რომ იგი ნაცემი იყო, თუმცა, ამის შესახებ შესაბამისი მიმართვა არ ჩათვალა საჭიროდ და არ განუცხადებია, რომ მ. ნ-ს მისი ცემის ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენია.

4.8. ადვოკატის განმარტებით, მან სამედიცინო წესით არ დააფიქსირებინა კ. ე-ს დაზიანების არსებობა, ვინაიდან თავად საჩივრის ავტორს არ ჰქონდა ცემის ფაქტთან დაკავშირებით პრეტენზია და უარი განაცხადა აღნიშნულ დაფიქსირებაზე, მიუხედავად მ. ნ-ს სურვილისა.

4.9. ადვოკატის განცხადებით, საქმეში მეორე ადვოკატი ჩაერთო დასახმარებლად, კ. ე-ს ოჯახის სურვილით. მ. ნ-ს განმარტებით, სასამართლოს პირველ ინსტანციაში დავის განხილვისას იგი სრულად მონაწილეობდა და, ასევე, შესაბამისი საპროცესო წესით, მტკიცებულებები გაუცვალა საქმის პროკურორს.

4.10. ადვოკატის განმარტებით, საქმეში არ იყვნენ საჩივრის ავტორის ალიბის დამადასტურებელი მოწმეები და თავად კ. ე-საც არ მიუთითებია ასეთ მოწმეზე. ადვოკატის განცხადებით, მან ურჩია კ. ე-ს გამოეყენებინა დუმილის უფლება. მ. ნ-ს განმარტებით, კ. ე დანაშაულს აღიარებდა წინასასამართლო სხდომამდე, ხოლო შემდეგ თავს უდანაშაულოდ ცნობდა.

4.11. ადვოკატის განცხადებით, კ. ე-ს დაზიანების შესახებ ცნობა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან პირადად მას არ გამოუთხოვია - ადვოკატების შეთანხმებით, გამოითხოვა მ. კ-მა. ადვოკატის განმარტებით, ცნობის მიხედვით, კ. ე-ს აღენიშნებოდა მსუბუქი დაზიანება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეყვანისას, თუმცა, ცემის ფაქტის შესახებ მ. ნ-ს პროკურატურისათვის არ მიუმართავს.

4.12. ადვოკატის განმარტებით, მან მიმართა ნარკოლოგიურ კლინიკას კ. ე-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის მისაღებად, თუმცა, საჭირო იყო სპეციალური ნებართვის არსებობა საჩივრის ავტორის მხრიდან, რისი არქონის მიზეზითაც მ. ნ-ს უარი განუცხადეს ცნობის გაცემაზე. ცნობა, ადვოკატების შეთანხმებით, შემდგომ გამოითხოვა მ. კ-მა. ადვოკატის განცხადებით, კ. ე-ს ნარკოლოგიურ კლინიკაში ყოფნის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა მოგვიანებით, ვინაიდან თავად საჩივრის ავტორმა განუცხადა მას, რომ თვითონ მივიდა სამმართველოში. ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორის ოჯახისაგან იცოდა, რომ კ. ე დაკავებული იყო ადმინისტრაციული წესით,

თუმცა, თავად კ. ე-მ ეს განაცხადა მხოლოდ წინასასამართლო სხდომის შემდეგ და ის ფაქტიც, რომ იმყოფებოდა ნარკოლოგიურ კლინიკაში.

4.13. ადვოკატის განცხადებით, მან დასკვნით სიტყვაში და ასევე, მოწმეთა დაკითხვისას დააფიქსირა, რომ დაკავების ოქმში დაკავების დრო არასწორად იყო მითითებული, თუმცა, აღნიშნული და ცემის ფაქტის გამო საქმის შეწყვეტა სასამართლოში არ მოუთხოვია. მ. ნ-ს განმარტებით, საჩივრის ავტორთან პირველი შეხვედრისას კ. ე-ს შარვალი ეცვა, შესაბამისად, არასწორია მითითება, რომ კ. ე-ს შარვალი ადვოკატთან პირველი შეხვედრისას არ ეცვა.

4.14. ადვოკატის განმარტებით, მან კ. ე-ს სამედიცინო ცნობა, სადაც ფიქსირდებოდა თვალზე არსებული დაზიანების შესახებ, პირველად ნახა საქმის მიწურულს. მ. ნ-ს განცხადებით, ეს ცნობა მას ანახა მ. კ-მა და განუცხადა, რომ ცნობას წარადგენდა საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრებისას. ადვოკატის განმარტებით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, კ. ე-ს მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა.

4.15. 2017 წლის 03 აგვისტოს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ ორივე მხარის მოთხოვნით საქმე განიხილა მათი დასწრების გარეშე, საქმეში არსებული ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1. 2015 წლის 23 დეკემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. ნ-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

5.2. საპროცესო კოლეგიის მოსაზრებით, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა მ. ნ-მ არაკვალიფიციური მომსახურება გაუწია კ. ე-ს, კერძოდ, დროულად არ მიიღო რელევანტური მტკიცებულებები და, შესაბამისად, სააპელაციო სასაამრთლოში შემდგომ მათი წარდგენა ვერ მოხერხდა, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფატობრივი გარემოებები:

6.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1 კ. ე-ს მიყენებული ჰქონდა ჯანმრთელობის დაზიანება სახის არეში

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მეორე დაწესებულების სამედიცინო ცნობა.

6.1.2. ადვოკატმა მ. ნ-მ არ გამოითხოვა მტკიცებულებები მისი კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. მხარეთა ახსნა-განმარტებები;
2. მოწმე მ. კ-ის 2015 წლის 23 დეკემბრის ზეპირი ახსნა-განმარტება.
3. მოწმე თ. ხ-ს 2015 წლის 23 დეკემბრის ზეპირი ახსნა-განმარტება.

6.2. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში არ არსებობს სადავო გარემოებები.

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ნ-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ნ-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

8.1.1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: “ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული საქმიანობა.”

8.1.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

8.2. განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის მოტივაციას და მისი მოსაზრებით, დადასტურებულია, რომ ადვოკატ მ. ნ-მ მიერ კ. ე-ს ცემის ფაქტთან დაკავშირებით არ გამოითხოვა შესაბამისი მტკიცებულებები.

8.3. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე. ადვოკატს, მხოლოდ ამის შემდეგ წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც აკრძალული არ არის კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.

8.4. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №035/10 განმარტა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს კანონით ადვოკატთა შესახებ (მუხლი - 2,5,6.) არ მოიცავს კლიენტის მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

8.5. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ახსნა-განმარტებებს. კერძოდ, მომჩივანმა კ. ე-მ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ განცხადებას დაურთო სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს №2 დაწესებულების სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა მისი სხეულის დაზიანების ამსახველი მონაცემების შესახებ,

ასევე, ზუგდიდის დროებითი დაკავების იზოლატორში შეყვანის დროს გარეგნული დათვალიერების აქტის ასლი, სადაც მითითებულია კ. ე-ს თვალბუდის მიდამოში სისხლნაჟღენთების არსებობის შესახებ.

8.6. ადვოკატმა მ. ნ-მ საკუთარ ახსნა - განმარტებაში კ. ე-ს სახის არეში არსებული დაზიანების ფაქტი დაადასტურა და, ასევე, განმარტა, რომ ამ ფაქტის შესახებ პროკურატურისათვის და რომელიმე სამართალდამცავ ორგანოსათვის არ მიუმართავს. დაზიანებების შესახებ ცნობა გამოითხოვა სხვა ადვოკატმა, კერძოდ, მ. კ-მა, რომელიც, ასევე, მონაწილეობდა ამ საქმეში, თუმცა, მისი ჩართვა ოჯახის მიერ მოხდა მოგვიანებით.

8.7. დამატებით, მოწმემ, ადვოკატმა მ. კ-მა განმარტა, რომ კ. ე გულისწყრომას გამოთქვამდა მ. ნ-ს მიმართ მისი ცემის ფაქტის გაუხმაურებლობის გამო და თვლიდა, რომ ნაჭყეზია მის წინააღმდეგ მოქმედებდა. ადვოკატმა, ასევე, განაცხადა, რომ იგი დაცვის განსახორციელებლად ჩაერთო საქმის არსებითი განხილვის დროს და ფიზიკურად ვერანაირი მტკიცებულების წარდგენას ვეღარ შეძლებდა სასამართლოში, რადგან მტკიცებულებათა ნუსხის გაცვლის და წინასასამართლო სხდომის ეტაპი უკვე გავლილი იყო. თუმცა, მან სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს №2 დაწესებულებიდან მაინც მოახერხა კ. ე-ს სხეულზე არსებული დაზიანებების დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის აღება, რომელიც სააპელაციო ინსტანციამ არ მიიღო მტკიცებულებების წარდგენის ვადის დარღვევის გამო. აღნიშნული სამედიცინო დოკუმენტაცია ადვოკატ მ. ნ-ს მიერ არ ყოფილა არც გამოთხოვილი სასაჯელაღსრულების დაწესებულებიდან და არც წარდგენილი სასამართლოში მტკიცებულებათა ნუსხის გაცვლის ეტაპზე. ადვოკატ მ. კ-ის განმარტებით მან კ. ე-ს დაზიანებების ამსახველი ყველა დოკუმენტაცია (სამედიცინო ცნობა და გარეგნული დათვალიერების აქტი) გადააგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში, საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემდგომი რეაგირების მიზნით.

8.8. განხილვის კოლეგია მიუთითებს, რომ მიუხედავად ადვოკატის განმარტებისა, თითქოს კ. ე აცხადებდა, რომ სხეულის დაზიანება ადრე მომხდარი ფაქტის შედეგი იყო, როგორც აღმოჩნდა, ეს მოსაზრება იყო სადავო. ადვოკატს მაინც უნდა განეხორციელებინა შესაბამისი მოქმედებები. მეორე ადვოკატმა, მ. კ-მა მიმართა შესაბამის ორგანოებს და გამოითხოვა ცნობა, რომელზეც, როგორც ადვოკატი მ. ნ განმარტავს, მანაც თანხმობა განაცხადა. შესაბამისად, საქმის გარემოებების შეძლებისდაგვარად სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის პრინციპის დასაცავად, ადვოკატს მაინც უნდა გამოეთხოვა დაზიანებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, რეალურად საქმისათვის საჭიროებას წარმოადგენდა. იმის შესახებ, რომ კ. ე-ს დაკავებამდე დაზიანება არ აღენიშნებოდა, ინფორმაციას აფიქსირებენ მოწმეებიც საკუთარ ახსნა-განმარტებებში.

8.9. განხილვის კოლეგია, დამატებით განმარტავს, რომ თუ კ. ე აცხადებდა თითქოს სხეულის დაზიანება ადრე იყო მომხდარი, ძიებას არ საჭიროებდა და ადვოკატის მიერ ამის გამოკვლევა იქნებოდა კლიენტის ნების წინააღმდეგ წასვლა, მ. ნ-ს აღნიშნული განცხადება, პრევენციის მიზნით, უნდა დაეფიქსირებინა წერილობით. როგორც აღინიშნა, ამ ფაქტის გამოუკვლეველობამ წარმოშვა პრობლემები კ. ე-ს საქმის წარმოებისას, ხოლო კლიენტის წერილობითი განცხადება შექმნიდა კოლეგიისათვის მტკიცებულებას კ. ე-ს ნების გამოხატვის შესახებ.

8.10. განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს

სადისციპლინო პალატის პრაქტიკა და განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლომ გააკეთა სასამართლოს მომართვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვისას და გადაცდომასა და პასუხისმგებლობის ფორმას შორის ურთიერთშესაბამისად მიიჩნია ადვოკატ მ. ნ-ს მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

8.11.,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლის თანახმად, ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში, იგი უნდა შეიცავდეს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბადება პირადად.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, მე-19, მე-20, 33–ე მუხლით, 35–ე მუხლით, 38–ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №077/15 ადვოკატ მ. ნ-ს (სიითი №) მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/